საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბზიანიძე ზაზა გიორგის ძე

ზ. აბზიანიძე

აბზიანიძე ზაზა გიორგის ძე (დ. 30. X. 1940, თბილისი), კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1994), საქართვ. მწერალთა კავშირის წევრი (1976).

დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1963). 1966-87 იყო რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ინ-ტის მეცნიერი თანამშრომელი, მუშაობდა აგრეთვე კ. მარჯანიშვილის სახ. დრამ. თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედ; 1987-იდან საქართ. რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოხელოვნების ინ-ტის ფილოლ. კათედრის გამგედ. ა-ს ეკუთვნის მონოგრაფია „ადამიანის კონცეფცია თანამედროვე ქართულ ლირიკაში“ (1975), „ლიტერატურული დიალოგები“ (1983), ლიტ. პორტრეტების ციკლი „ქართველი ლირიკოსები: ბესიკიდან ანა კალანდაძემდე“; თანაავტორია (ქ. ელაშვილთან ერთად) „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედიისა“ (2 ტომად, I ხარისხის პრემია „პარნასი“ ლიტ-რის დარგში, 2006). ა. ავტორია მრავალი წერილისა XX ს. ქართული მწერლობის ტენდენციებზე, საზ. და ზოგადკულტურულ საკითხებზე. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თარგმნილია უცხო ენებზე.

ა-ის წერილები თან ერთვის ბერლინში გერმ. ენაზე გამოქვეყნებულ თანამედროვე ქართ. მოთხრობების კრებულს („შორი თეთრი მწვერვალი“, 1984), აგრეთვე ტ. გრანელის, ლ. ასათიანის, გ. ნიკოლაძის, გ. ასათიანის ნაწარმოებთა გამოცემებს. ა. ავტორია საბავშვო ნაწარმოებებისა: „ბუსუნსულები. ლექს-ნახატები ჩემი მეგობრებისა და მათი

შვილებისათვის“ (2009), „წითელკუდა -ზღაპრები დიდებისა და პატარებისათვის“ (2007).

ა-ს მიღებული აქვს: გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) *ლიტ.* კონკურსის პირველი ხარისხის პრემია (2001), ლიტ. პრემია „გალა“ ნომინაციაში ,,წლის საუკეთესო საგამომცემლო პროექტი“ - პროექტისათვის – „ასი წიგნი: ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო“ (2011); ლიტ. პრემია „საგურამო“ (2019); გ. კიკნაძის სახ. პრემია წლის საუკეთესო სამეცნ. სტატია «ლიტერატურული პორტრეტებისათვის - „უცნობი ყაზბეგი“».

ა. არის კომპარატივისტიკის ქართული ასოციაციის (GEKLA), მწერალთა საერთაშორისო ასოციაციის ევროპული ფორუმის წევრი.

თხზ.: მეგობრები და კოლეგები, თბ., 2003; ლიტერატურული პორტრეტები; ქართული პოეზიის სამი საუკუნე, თბ., 2009; Animalarky, Seattle (USA), 2014.